ანოტაცია

მართკუთხა კოორდინატთა სისტემა ქართულენოვან ტოპოგრაფიულ რუკებზე

გოჩა გუძუაძე

ელ-ფოსტა: gocha.gudzuadze049@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, თბილისი, 0179, საქართველო

XX საუკუნის დასასრულს საქართველოს ტერიტორიაზე ტოპო-გეოდეზიური სამუშაოების შესრულების, ტოპოგრაფიული რუკების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა დონეზე შექმნისა და ერთიანი სახელმწიფო გეოინფორმაციული სისტემის გეოდეზიურ-კარტოგრაფიული საფუძვლის ფორმირებისათვის ახალი საერთაშორისო სტანდარტების დადგენამ აუცილებელი გახადა ტოპოგრაფიული რუკის არსებული ბრტყელი მართკუთხა კოორდინატთა სისტემა შეცვლილიყო საერთაშორისო კოორდინატთა სისტემით. აღნიშნული ცვლილებების შედეგად არსებული 1942 წლის გაუს-კრიუგერის საკოორდინატო სისტემის ნაცვლად ახალ ქართულენოვან ტოპოგრაფიულ რუკებზე გამოიყენება, მერკატორის კოორდინატთა სისტემა (UTM), ხოლო სამხედრო რუკებზე კი გამოიყენება სამხედრო MGRS (Military Grid Reference System) კოორდინატთა სისტემა.

წარმოდგენილ თემაში განხილულია აღნიშნული კოორდინატთა სისტემები და მოცემულია მათი შედარება.

საკვანძო სიტყვები: ტოპოგრაფიული რუკა, კოორდინატთა სისტემა, კოორდინატთა ბადე.